ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 936,2 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა |
|--------------------|--|-----------------|-----------------|-----------------|
| 04 00 | განათლება | 419,7 | 1 280,7 | 936,2 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 419,7 | 765,1 | 524,9 |
| 04 01 01 | ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება | 419,7 | 470,4 | 517,7 |
| 04 01 02 | ბაღების რეაბილიტაცია | 0,0 | 294,7 | 7,2 |



| | | | | |
|----------|-----------------------|-----|-------|-------|
| | | | | |
| 04 03 | საჯარო სკოლები | 0,0 | 515,6 | 411,2 |
| 04 03 01 | ზიგადი საჯარო სკოლები | 0,0 | 515,6 | 411,2 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი განათლება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------------------|---|--|----------------------------------|
| | 04 01 | | 524,9 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. | | |
| | შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 422-ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 74 ადამიანი. მუნიციპალიტეტის 9 სოფლიდან ხორციელდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფასო ტრანსპორტირება ასპინძის საბავშვო ბაღებში. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: | | |
| | ბავშვობაში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; | | |
| | ბავშვობაში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; | | |
| | ბავშვობაში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; | | |
| | ბავშვობაში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; | | |
| | ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; | | |
| | ბავშვობაში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. | | |
| | ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა | | |
| | მოსალოდნელი შედეგი | ასპინძის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 450-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს | |



| | | | |
|--|--|----------------|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საჯარო სკოლები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 04 03 | | 517,7 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების კეთილმოწყობა. ასევე მოხდება მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სკოლების გალამაზებული იერსახე, უკეთესი ინფრასტრუქტურა. მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილება. | | |

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 654,5 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის ფაქტი გეგმა |
|-----------------|--|-----------------|-----------------|-----------------------|
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალ-გაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 857,5 | 645,9 | 654,5 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 175,7 | 189,0 | 204,0 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა | 5,5 | 6,6 | 9,0 |
| 05 01 02 | სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 170,2 | 182,4 | 195,0 |
| 05 01 02 01 | სპორტული კლუბი | 9,9 | 0 | 0 |
| 05 01 02 02 | ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება | 110,3 | 122,4 | 135,0 |
| 05 01 02 03 | ა(ა) იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ტაო | 50,0 | 60,0 | 60,0 |



| | | | | |
|-------------|--|-------|-------|-------|
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 595,1 | 344,7 | 342,0 |
| 05 02 01 | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 595,1 | 344,7 | 342,0 |
| 05 02 01 01 | ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი | 10,1 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 01 02 | ა(ა) ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება კულ-ტურის ცენტრი | 143,8 | 169,9 | 170,0 |
| 05 02 01 03 | მთავარი ბიბლიოთეკა | 60,9 | 64,3 | 65,0 |
| 05 02 01 04 | სახელოვნებო სკოლები | 97,0 | 100,0 | 107,0 |
| 05 02 01 05 | ასპინძის შ.რუსთველის სახე-ლობის სახალხო მუზეუმი | 2,0 | 0 | 0 |
| 05 02 01 07 | კულტურის ობიექტების მშენებლობა | 281,3 | 10,5 | 0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაფინანსება | 36,6 | 47,6 | 45,0 |
| 05 04 | რელიგია | 50,0 | 64,7 | 63,5 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | 2020 წ დაფინანსება ათას ლარებში |
|--|---|-----------------------|------------------------------------|
| | 05 01 01 | | 9,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის , განათლების, სპორტის,ძეგლთა დაცვის ,ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური | | |
| | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში დაგეგმილ სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისას ურთიერთსაპირისპირო სქესი წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა.აქედან გამომდინარე სპორტის სახეობების მიხედვით 2020 წელში დაგეგმილი ღონისძიებებისუმრავლესობაგათვლილიაამიმართულებით სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, თასებით, სიგელებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით - სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. - მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის პროექტით გათვლილია - სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტული ღონისძიებების სამსაჯო მომსახურების ხარჯები,სპორტულ ღონისძიებებისათვის სპორტული ფორმების შეძენა. ქვეპროგრამის ფარგლებში 2020 წლისათვის ხორციელდება შემდეგი სპორტული აქტივობები:</p> <p>მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში - პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაცია დაწესებულებების, დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდები. გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.</p> <p>მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში- პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნარდის მოყვარული,როგორც კაცები, ასევე ქალები,გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული</p> | | |



| | |
|--------------------------------------|---|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>მონარდიები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.</p> <p>მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში- პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჭადრაკის მოყვარული, როგორც კაცები, ქალები, ასევე ბიჭები და გოგონები გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.</p> <p>მუნიციპალიტეტის პირველობა ფეხბურთში - შეჯიბრება ჩატარდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფეხბურთის მოყვარულთა გუნდების მონაწილეობით პირველობაზე დაიშვებიან 16 წელზე ზევით ასაკის ფეხბურთის მოყვარულები გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებითა და დიპლომებით. საუკეთესო ნომინაციებში გამოვლენილ მონაწილეებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები.</p> <p>მუნიციპალიტეტის პირველობა ქართულ ჭიდაობაში - ჩატარდება ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. წონით კატეგორიებში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან მედლებით, თასებით, სიგელებითა და სპეციალური პრიზებით.</p> <p>მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში -პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულთა შორის . შეჯიბრება ჩატარდება ერთ კატეგორიაში ინდივიდუალურ მონაწილეობას მიიღებენ 16 წელზე ზევით ასაკის ორივე სქესის წარმომადგენლები, გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.</p> <p>მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - პირველობაზე ჩატარდება ასპინძის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაცია დაწესებულებების, დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების მოყვარულ ფრენბურთის მოყვარულ კაცთა და ქალთა გუნდებს შორის . გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.</p> <p>მუნიციპალური პირველობა ფეხბურთში 7X7-ზე (მერისს თასზე) - პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, ფეხბურთის მოყვარულთა გუნდები. გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.</p> <p>საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, გოგონებისა და ქალების სპორტში ჩართულობის გაზრდა , სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.</p> |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | <p>ჩატარებული მუნიციპალური სპორტული ღონისძიებებით, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ცნობიერება 50% -60% ითაა გაზრდილი , 20-30% გაზრდილია გოგონებისა და ქალების სპორტულ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობა და გაუმჯობესებულია სპორტული მიღწევები .</p> |

| <p>როგრამის დასახელება</p> | <p>კოდი</p> | <p>ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება</p> | <p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> |
|---------------------------------------|--------------------|---|--|
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>05 01 02 02</p> | | <p>135,0</p> |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | | <p>ა(ა)იპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება</p> | |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | | <p>სპორტული ცენტრი აერთიანებს 5 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ქვეპროგრამის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს სპორტული სექციები სხვადასხვა სფეროში.(რაგბის,ფეხბურთის,მშვილდოსნობის,ბერძნულ-რომაული ჭიდაობის და მოუდოს სექციები) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 155 ბავშვი, ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე ადგილობრივ ღონისძიებებში</p> <p>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სახეობათა განვითარება, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა.</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. | <p>მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა სპორტის სფეროში;</p> <p>სპორტული განათლების ღონის ზრდა.</p> |

| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი</p> | <p>ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“</p> | <p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> |
|---------------------------------------|--------------------|--|---|
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>05 01 02 03</p> | | <p>60,0</p> |
| | | <p>ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“</p> | |



| | |
|-------------------------------|---|
| სამსახური | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“, რომლის მიზანია რაგბის, როგორც სპორტული, გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ზავშვთა და მოზარდთა რაგბის განვითარება და პროფესიული რაგბის დამკვიდრება სამცხე-ჯავახეთის მხარეში. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა რაგბში. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|--|----------------------------------|
| | 05 02 01 02 | | 170,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ორგანიზაციაში გაერთიანებულები არიან „თავისუფალი თეატრი“; ზავშვთა ქორეოგრაფიული ანსაზლი „სამცხე“ და ქართულ ხალხური ანსაზლი „წუნდა“, რომლებიც ცდილობენ აღმოაჩინონ ნიჭიერი ახალგაზრდები და მოახდინონ მათი პოპულარიზაცია, ასევე ინარჩუნებენ ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელ ტრადიციული ძირძველი ნაწარმოებების შენარჩუნებას. პროგრამის ფარგლებში ანსაზლები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში, გეგმავენ და ატარებენ სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებებს მოსახლეობისათვის.</p> <p>ასევე ზემო აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონიტორინგს, ტურისტული ბილიკების მოძიება-დაგეგმარებას, ასევე არსებული სამუზეუმო ექსპონატების მოვლა-პატრონობა, მის რესტავრაციაზე ზრუნვას.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა კულტურის სფეროში; ტურისტებისათვის ეფექტური გარემოს შექმნა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|------------------------------------|----------------------------------|
| | 05 02 01 03 | ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა | 65,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება. საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა. საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მარკენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა. ქართული კულტურის მემკვიდრეობის და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია. მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით. საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა. საბიბლიოთეკო საქმის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, შეხვედრების ორგანიზება. ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადებისდღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, ასპინძის შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები“ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის სისტემაში შემავალი სოფლად არსებული ბიბლიოთეკები 2007 წლიდან იმყოფება უფუნქციოდ სოფელი; ძველი, ორგორა, ფია, იდუმალა, თოკი, ნაქალაქევი, ნიჯგორი, თმოგვი, მირაშხანი, ხერთვისი ოთა, სახუდაბელი, ვარგავი, ივერია,</p> | | |



| | |
|--------------------|---|
| | ჭობარეთი.(15 ბიბლიოთეკა) აღნიშნული ბიბლიოთეკების აღსადგენად გვესაჭიროება 19200 ლარი. მხოლოდ შრომის ანაზღაურებისათვის. |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა განახლებული წიგნადი ფონდი და კმაყოფილი მკითხველი. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|-----------------------------------|----------------------------------|
| | 05 02 01 04 | | 107.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, ა(ა)იპ ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა.</p> <p>სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო და საესტრადო მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 130 ბავშვი. სკოლაში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 18 თანამშრომელს. დაფინანსება 100 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, ა(ა)იპ ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა ახორციელებს კულტურის მინისტრის 2007 წლის 7 მარტის N3/46 ბრძანებით დამტკიცებული დაწყებითი სამუსიკო- საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას, (ხანგრძლივობა 6 წელი). სასწავლო პროგრამის მიმდევრობით ხორციელდება ქართული და უცხოელი კომპოზიტორების ხელოვნების ნიმუშების- მუსიკალური ნაწარმოებების შესწავლა, ასევე კულტურული აქტივობების ორგანიზება: მათ შორის სკოლისა და რაიონის მასშტაბით გამართული ღონისძიებები და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა სამემსრულებლო ტექნიკის განვითარებისათვის კონკურსებსა და ფესტივალებში მათი მონაწილეობა, რისი საშუალებითაც ვლინდება მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები. სკოლის მიზანია, იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გამოვლენის ჩამოყალიბებასა და აქტიური კულტურული მსმენელის აღზრდაზე. მოსწავლეთა და პედაგოგთა ხელშეწყობა- წახალისება სკოლის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია -(კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობა და სხვა მოტივაცია) მათი შემოქმედების დაფასება -(იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.) ასევე აღსანიშნავია სკოლის ჩართულობა ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება. სამუსიკო სკოლის სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემაა მუსიკალური ინსტრუმენტების განახლება.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ (ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით) ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|---|----------------------------------|
| | 05 03 | | 45,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვის, ახალგაზრდული საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური | | |
| | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში კულტურის განვითარების ხელშეწყობას: სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას, გასართობი-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;</p> <p>კულტურული, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>წარმატებული შემოქმედებითი ახალგაზრდებისა და ჯგუფების წახალისებას;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;</p> | | |



| | |
|-------------------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.</p> <p>მოსწავლე-ახალგაზრდებში, ცნობიერების დონის ამაღლება წიგნიერების, კულტურული მემკვიდრეობის, გარემოს დაცვის და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კუთხით კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების ორგანიზებას ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერას მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითარებისათვის ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობას, ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვისა და ეკოლოგიის მიმართულებით. ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდას, საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური ჩართვასა და წახალისებას ახალგაზრდებში სასცენო ხელოვნებისა და თეატრის პოპულარიზაციას.</p> <p>ახალგაზრდებში მოტივაციის გაზრდა, რათა სამომავლოდ უფრო მეტი მოხდომებით, მეტი რაოდენობით და გაუმჯობესებული ხარისხით იყვნენ წარმოდგენილები ამა თუ იმ კულტურულ, თუ შემოქმედებით კონკურსებზე. ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით უნარების გაზრდას. მოზარდ ახალგაზრდებში პატრიოტული გრძნობისა და სულისკვეთების ამაღლებას. ბავშვთა ჩართულობას საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, ინტელექტუალური უნარების განვითარებასა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის მათ შორის ახალგაზრდებში კულტურული დონის ამაღლება, ახალგაზრდობის გააქტიურება და მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ სამოქალაქო აქტივობებში მეტი ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება. მათი კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.</p> |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>მუნიციპალიტეტში მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი ახალგაზრდული შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია, მოზარდ ახალგაზრდების კულტურულ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა, მათი შემოქმედების წარმოჩენა და მოტივაციის გაზრდა.</p> |

| პროგრამის დასახელება | კოდი | რელიგია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------------------|---|---------|----------------------------------|
| პროგრამის განმახორციელებელი | 05 04 | | 63,5 |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიის გაუმჯობესებული იერსახე;</p> | | |

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 508,0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| | | | |
|--|------|------|------|
| | 2018 | 2019 | 2020 |
|--|------|------|------|



| პროგრამული კოდი | დასახელება | წლის ფაქტი | წლის ფაქტი | წლის გეგმა |
|-----------------|--|------------|------------|------------|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 301,2 | 710,9 | 508,0 |
| 06 01 | ჯანდაცვა | 60,0 | 434,4 | 174,8 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 60,0 | 56,6 | 63,9 |
| 06 01 02 | ამბულატორიები | 0,0 | 377,9 | 110,9 |
| 06 02 | სოციალური უზრუნველყოფა | 241,3 | 276,5 | 333,2 |
| 06 02 01 | უფასო სასაბუღალტრო დაფინანსება | 34,6 | 35,9 | 42,2 |
| 06 02 02 | სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა | 84,2 | 93,6 | 100,0 |
| 06 02 03 | ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა | 27,6 | 22,4 | 30,0 |
| 06 02 04 | ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯები | 0,0 | 0,0 | 1,0 |
| 06 02 05 | სოციალური დახმარებები | 74,8 | 104,6 | 140,0 |
| 06 02 06 | ა(ა)პ შებენიანი უსამსახურეობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი | 20,0 | 20,0 | 20,0 |

დაფინანსება



| პროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა | /ათას ლარში/ 2020 წელი |
|-----------------------------|--|-----------------------------------|---------------------------|
| | 06 01 01 | | 63,9 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ს.ა.ი.პ ასპინძის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა | გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა დსკჯე ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდვლევების განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსამშრომებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდვლევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და "C" ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, თამბაქოს კონტროლის მონიტორინგი... | | |
| პროგრამის მიზანი | სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPHO-10) ფუნქციების განხორციელების გზით; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და დაავადებათა პრევენციის გზით შემცირება | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ამბულატორიები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------------------|---|---------------|----------------------------------|
| | 06 01 02 | | 110,9 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ამბულატორიული მომსახურების მიწოდების მიზნით საჯარო შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამბულატორების რეაბილიტაცია. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სოფლის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომლობა. | | |

სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.



| პროგრამის დასახელება | კოდი | მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|---|----------------------------------|
| | 06 02 01 | | 42,2 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახური | | |
| დპროგრამის აღწერა და მიზანი | ასპინძის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება პროგრამით შესაძლებელი იქნება 50 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|--|----------------------------------|
| | 06 02 02 | | 100,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით ან კერძო სადაზღვევო პოლისით, არასრულად დაფინანსებული ან დაფინანსების გარეშე დარჩენილი მოქალაქეების ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება:</p> <p>ა. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ან/და ბინადრობის უფლების მქონე მოქალაქეების, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენს 100 000-ზე ნაკლებს, ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება შეადგენს:</p> <p>ა.ა. 1000 ლარამდე 50%;</p> <p>ა.ბ. 2000 ლარამდე 40%;</p> <p>ა.გ. 2000 - 4000 ლარამდე 35%;</p> <p>ა.დ. 4 000 ლარიდან ზევით არა უმეტეს 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარისა.</p> <p>ბ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები, ან/და ბინადრობის უფლების მქონე მოქალაქეების, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენს 75 000-ზე ნაკლებს, ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება შეადგენს:</p> <p>ბ.ა. 500 ლარამდე სრულად;</p> <p>ბ.ბ. 500 ლარიდან 1500 ლარამდე 50%;</p> <p>ბ.გ. 1 500 ლარიდან 3000 ლარამდე 40%;</p> <p>ბ.დ. 3 000 ლარიდან ზემოთ არაუმეტეს 1500 ლარისა.</p> <p>2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად (ბოლო 9 თვის განმავლობაში) მცხოვრები ან/და ბინადრობის უფლების მქონე იმ მოქალაქეების ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, რომელთა დასაფინანსებელი თანხა აღემატება 300 (სამას) ლარს, მუნიციპალური თანადაფინანსება შეადგენს:</p> <p>ა. 1500 ლარამდე 50%;</p> <p>ბ. 2000 ლარამდე 40%;</p> | | |



გ. 2000-4000 ლარამდე 35%;

დ. 4000 ლარიდან ზევით არა უმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარისა.

4. თანადაფინანსება განხორციელება სამკურნალო დაწესებულებიდან პაციენტის მიერ წარმოდგენილი ოპერაციამდელი (წინასწარ გაცემული) და ოპერაციის შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად.

2019 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 98 ბენეფიციარმა.

| | |
|--------------------|--|
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება |
|--------------------|--|

| პროგრამის დასახელება | კოდი | ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|---|----------------------------------|
| | 06 02 03 | | 30,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ და რეგისტრირებული ოჯახების ახალდაბადებულ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესება | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|---|----------------------------------|
| | 06 02 04 | | 1,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები „ვეტერანისა“ და „იძულებით გადაადგილებულის“ სტატუსის მქონე გარდაცვლილი მოქალაქეების სარიტუალო ხარჯების დაფარვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატივის შესაბამისად: „ვეტერანისათვის“ 250 (ორას ორმოცდაათი) და „დევნილისათვის“ 200(ორასი) ლარის ოდენობით ოჯახის წევრის, ნათესავის ან/და მემკვიდრის პირად ანგარიშზე ჩარიცხვით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | „ვეტერანისა“ და „დევნილის“, სტატუსის მქონე გარდაცვლილი მოქალაქეების ოჯახების თანადგომა სარიტუალო თანხის დაფარვაში. | | |



| პროგრამის დასახელება | კოდი | სოციალური დახმარებები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|-----------------------|-------------------------------------|
| | 06 02 05 | | 140,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მრავალშვილიანი ოჯახების (არასრულწლოვანი ოთხი და მეტი შვილი) ოჯახების მატერიალური დახმარება; მეორე მსოფლიო ომის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლ ომისა და სამხედრო ძალების დაინვალიდებულ ვეტერანთათვის, ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული პირების ოჯახებისათვის; იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების ხარჯი; მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულთა დახმარება; დედ-მამით ობოლ არასრულწლოვანთათვის დახმარება; შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე არასრულწლოვანთათვის და სხვადასხვა გამოწვევის შემთხვევებისათვის. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე. მუნიციპალიტეტში მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობის ზრდა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის არსებითი საჭიროებითა და ცხოვრების შესაბამისი სტანდარტებით უზრუნველყოფა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იშ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|--|-------------------------------------|
| | 06 02 06 | | 20,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იშ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ცენტრი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება. | | |

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავ პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდი შეადგენს 31,7 ათასი ლარს და მისი განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა



პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა |
|--------------------|--|-----------------|-----------------|-----------------|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 1 500,1 | 1 983,4 | 2 137,0 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 453,4 | 1 932,1 | 1 987,3 |
| 01 01 01 | ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 434,8 | 454,3 | 497,6 |
| 01 01 02 | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია | 953,5 | 1 402,4 | 1 392,3 |
| 01 03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 65,1 | 75,4 | 97,4 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 46,7 | 51,3 | 149,7 |

მუხლი 12. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში

| ორგ. კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის ფაქტი | | | 2020 წლის გეგმა | | |
|-----------|-------------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
